დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გოჩა ჯაფარიძის სახელობის სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ,,ფაკულტეტი“) გოჩა ჯაფარიძის სახელობის სტიპენდია (შედგომში - ,,სტიპენდია“) ენიჭება უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის სპეციალობის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის ერთ სტუდენტს.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ბაკალავრიატის და მაგისტრატურის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის სპეციალობის სტუდენტთა წახალისება.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია გაიცემა წინა კალენდარული სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით, კონკურსის გზით გადაეცემა იმ სტუდენტს, რომელიც გამოირჩევა აკადემიური მოსწრებით და მიღწევებით შუა საუკუნეების საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სამეცნიერო შესწავლის სფეროში.

2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველი სემესტრის სტუდენტზე;

ბ) დამატებითი სემესტრის სტუდენტზე;

გ) დასაფინანსებელ წელს მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა კალენდარულ სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) დასაფინანსებელ წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში. ამ შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება გაუცემელი თანხის სხვა სტუდენტისთვის სტიპენდიის სახით დანიშვნის თაობაზე.

მუხლი 3. სტიპენდიატის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატთა შეფასებას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია.
2. სტიპენდიით დაფინანსებისათვის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ უნივერსიტეტში წინა

სასწავლო კურსებში მიღებული შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით (GPA- არანაკლებ 3.5-ისა).
3. 3.5 GPA-ის მქონე საუკეთესო აკადემიური მოსწრების კანდიდატების არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიატის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:
ა) შუა საუკუნეების საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სამეცნიერო შესწავლის სფეროდან სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).
ბ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

5. სტიპენდია ინიშნება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით.

6. სტიპენდია გაიცემა 10 თვის განმავლობაში, თვეში 200 ლარი (საშემოსავლოს ჩათვლით), ალექსანდრე მიქაბერიძის, კონსტანტინე ფერაძის, მამუკა წურწუმიას და ნანი გელოვანის შემოწირულობის საფუძველზე.